–ჭიათურისა და საჩხერის

მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)

ქართული ეროვნული ცნობიერების უმთავრესი ნიშნები

თეზისები

- **ფასეულობები** – ქართული ეროვნული ცნობიერების უმთავრესი საფუძველი ქრისტიანული ფასეულობებია. წმინდა ილია მართალი ჭავჭავაძე წერილში „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“ ბრძანებს: „ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმან ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს ღვაწლით და მადლით აღმართულმა მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა“.

ქრისტიანულმა ფასეულობებმა განსაზღვრა ჩვენი ერის ცხოვრების ყოველი სფერო – ოჯახი და ნათესაური ურთიერთობანი, სტუმარ–მასპინძლობისა და შემწყნარებლობის, კეთილმეზობლობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტრადიცია, სამეცნიერო და სახელოვნებო საქმიანობა, მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი მართვის კულტურა.

- **დანიშნულება** – ყოველი ქრისტიანი ერის დანიშნულება მარადიული ნეტარი ცხოვრების დამკვიდრება ანუ ცხონებაა. ცხონებისაკენ მიმავალ გზაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ერთობას (იოანე 17. 22). უფლის განუყოფელი კვართის ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანება და დამკვიდრება იმაზე მიგვანიშნებს,

რომ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის საქართველოს ეკლესიას გამორჩეულად ევალება ზრუნვა ქრისტიანული ერთობისათვის.

- **თვითმყოფადობა** – იმისდა მიხედვით თუ როგორ უერთგულა ერმა თავის ფასეულობებს და თუ როგორ აღასრულა თავისი დანიშნულება, ყალიბდება მისი უნიკალური სახე ანუ თვითმყოფადობა. ქართული ეროვნული ნიშნების შესახებ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის გახსნისას წაკითხული პირველი ლექციის დასასრულს ბრძანებს: თუ ამაზე უწინარეს არა, უკვე XI საუკუნეში ... დამთავრებული შეხედულება ჩამოინაკვთა ქართულ ეროვნულ თვისებებზე, რომელთაც მაშინ და შემდგომშიც ყველა იზიარებდა და რომელიც ქართველთა და სხვა ეროვნებათა თვისებების ერთგვარ დაპირისპირებას წარმოადგენდა. გიორგი ხუცეს–მონაზონის აზრით, მაგ. პირველიდგანვე ქართველები, „ნათესავი ჩვენი წრფელ იყო და უმანკო“ და უძველეს დროითგანვე „პირველიდგანვე გვაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი“. ხოლო გიორგი დაყუდებულის რწმენით, თვით ღვთისმშობელსაც უყვარდა ქართველობა და მას მფარველობას უწევდა: „დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩვენი“–ო. ნიკოლოზ კათალიკოსს სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა იყო, და რომ იგი „ნაწილიცა იყო დედისა ღმრთისა“ და თვით „დედა ღმრთისა სურვიელ იყო და მეცადინებდა წარსვლად ქადაგებად“ ქრისტიანობისა და სახელდობრ „გულის–თქმით წადიერ იყო აღმოსავლით კერძოთა მათ წარმოსვლად“.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ერის ზნეობრივი და სარწმუნოებრივი სიწმინდის მაღალ ხარისხს ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობას უკავშირებს. ანგელოზთა დასებზე აღმატებულმა ღვთისმშობელმა განსაზღვრა მისი წილხვედრი ერის თვითმყოფადობის მთავარი ნიშანი – სწრაფვა სრულყოფილი სიწმინდისაკენ.